

27.10.10

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 7.5 პროცენტამდე ზრდის

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა (მპკ) 2010 წლის 27 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.5 პროცენტს შეადგენს.

სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 9.8 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა ძირითადად ეგზოგენური ფაქტორების გავლენის შედეგია. ხორბალზე მსოფლიო ფასის ზრდამ საქართველოს სამომხმარებლო კალათის ძირითადი კომპონენტების გაძვირება გამოიწვია, კერძოდ ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა პურპროდუქტებზე, ბურღულეულზე, მზესუმზირის ზეთზე, ხორცსა და კვერცხზე. ეგზოგენურ ფაქტორებზე მონეტარულ პოლიტიკას გავლენა არ აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი ინფლაციის მოლოდინს წარმოქმნის, რაც აძლიერებს ფასებზე ზეწოლას. ამდენად, მიმდინარე ეტაპზე ინფლაციის მოლოდინის შესასუსტებლად და საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონემდე, 6 პროცენტამდე, შესამცირებლად არსებობს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროება.

ბოლო პერიოდში გაიზარდა სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარის მიწოდება, რაც რამდენიმე ფაქტორის გავლენის შედეგია. ერთი მხრივ, ზრდის ტენდენცია აქვს უცხოური კაპიტალის შემოდინებას, მათ შორის საბანკო სექტორში, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ტურისტული შემოსავლების მიღების შედეგად ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდება. ამავე დროს, საერთაშორისო ბაზრებზე აშშ დოლარის გაუფასურების ტენდენცია საქართველოში დოლარის მიმართ ლარის გავცლით კურსზეც აისახება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2010 წლის 24 ნოემბერს გაიმართება.